„ვაჩტაიცეს"
იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ზაზა ლომინაძე

იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში
უთანრიგო და თანრიგოსან ჭაბუკთა და გოგონათა შორის
ღია რეიტინგ ტურნირი "IMERETI OPEN" - 2021

25 ივნისი – 4 ივლისი 2021წ. ქ. ქუთაისი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:

იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაცია.

2. ჩატარების დრო და ადგილი:

25.06 - 04.07.2021წ. ქუთაისი, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ჭადრაკის სკოლა.

3. კლასიფიკაცია და მონაწილენი:

ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს:

- **უთანრიგო 6 წლამდე** - 2015 წელს და შემდეგ დაბადებული ჭაბუკები და გოგონები;
- **უთანრიგო 7 წლამდე** - 2014 წელს და შემდეგ დაბადებული ჭაბუკები და გოგონები;
- **უთანრიგო 8 წლამდე** - 2013 წელს და შემდეგ დაბადებული ჭაბუკები და გოგონები;
- **უთანრიგო 8 წელს გადაცილებულ** - 2013 წლამდე დაბადებული ჭაბუკები და გოგონები;
- **თანრიგოსან 7 წლამდე** – 2014 წელს და შემდეგ დაბადებული თანრიგოსანი ჭაბუკები და გოგონები;
- **თანრიგოსან 8 წლამდე** – 2013 წელს და შემდეგ დაბადებული თანრიგოსანი ჭაბუკები და გოგონები;
- **თანრიგოსან 9 წლამდე** – 2012 წელს და შემდეგ დაბადებული თანრიგოსანი ჭაბუკები და გოგონები;
- **თანრიგოსან 9 წელს გადაცილებულ** – 2012 წლამდე დაბადებული ჭაბუკები და გოგონები;

მე–5 თანრიგოსნად ჩაითვლება ყველა, ვისაც საკვალიფიკაციო ტურნირებზე, ან იმერეთის ჩემპიონატებზე აღებული აქვს 3 ქულა და მეტი.

- **ღია რეიტინგ ტურნირი "IMERETI OPEN" – 2021, დაითვლება ფიდეს რეიტინგი.**

ტურნირში მონაწილეობისათვის სავალდებულოა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2021 წლის საწევროს გადახდა. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

4. სისტემა და კვალიფიკაცია:

- უთანრიგო და თანრიგოსანთა ტურნირები ჩატარდება შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
- ღია რეიტინგ ტურნირი "IMERETI OPEN" – 2021 ჩატარდება შვეიცარული სისტემით 9 ტურად.
- საჭიროების შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
- ტურნირის კენჭისყრა ჩატარდება კომპიუტერული სისტემით – **SwissManager;**
- სასტარტო სია და კენჭისყრის შედეგები განთავსდება შემდეგ საიტზე – **chess-results.com (GEO);**
- ინფორმაცია და ფოტო მასალა განთავსდება www.facebook.com **იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია.**

5. დროის კონტროლი:

- უთანრიგოთა და თანრიგოსანთა ტურნირებში თითოეულ მონაწილეს ყოველ პარტიაზე მიეცემა 60 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.
- ღია რეიტინგ ტურნირში "IMERETI OPEN" – 2021 – 90 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.

6. რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:

- მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინონ, ან ელ. ფოსტაზე (a.arsenidze1973@gmail.com) გამოაგზავნონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) მწვრთნელის სახელი, გვარი; 3) იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე გადახდილი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საწევროს(24 ლარი) და ტურნირის შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები 2021 წლის 24 ივნისს 18:00 საათამდე;
- იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
- სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE85BG00 0000 0297 9212 00; ბანკის კოდი BAGA GE22

- რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2021 წლის 24 ივნისის 18:00 საათი.
- თითოეული მონაწილის სატურნირო შესატანია 25 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).
- სოციალურად დაუცველები და მრავალიშვლიანი ოჯახის წევრები გათავისუფლებული არიან სატურნირო შესატანიდან, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.
- დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 40 ლარი.
- რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

7. გამარჯვებულის გამოვლენა:

ორი ან მეტი მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება: 1) ურთიერთშორის შეხვედრა; 2) ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით); 3) ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი); 4) შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით; 5) მოგებების მეტი რაოდენობით.

8. ტურნირის განრიგი:

ტური	რიცხვი	უთანრიგოთა ტურნირი	თანრიგოსანთა ტურნირი	რეიტინგ ტურნირი
რეგისტრაცია	21–24 ივნისი			
I ტურის კენჭისყრა	**25 ივნისი**	**15:00**	**15:00**	**15:00**
I ტური	26 ივნისი	10:00	12:00	15:00
II ტური	27 ივნისი	10:00	12:00	15:00
III ტური	28 ივნისი	10:00	12:00	15:00
IV ტური	29 ივნისი	10:00	12:00	15:00
V ტური	30 ივნისი	10:00	12:00	15:00
VI ტური	1 ივლისი	10:00	12:00	15:00
VII ტური	2 ივლისი	10:00	12:00	15:00
VIII ტური	3 ივლისი			15:00
IX ტური	4 ივლისი			13:00
დახურვა	4 ივლისი	18:00	18:00	18:00

მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით ორგანიზატორი უფლებამოსილია, შესაბამისი კორექტირება მოახდინოს ტურნირის ჩატარების სისტემის და დაწყების დროის(საათი).

9. დაჯილდოება:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- II და III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- განსაზღვრული ქულების დაგროვების შემთხვევაში მოჭადრაკეებს მიენიჭებათ შესაბამისი სპორტული თანრიგები.

10. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 15 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება ტურნირის გახსნის ცერემონიალზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად იმერეთის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

- არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება.

"კოვიდ–19"-თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, მსაჯთა და ორგანიზატორთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1-ით.

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - ალექსანდრე არსენიძე